

## აეროდრომის სერტიფიცირება

აეროდრომის სერტიფიკატის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

სააგენტოს განსახილველად წარედგინება სერტიფიკატის მისაღები განცხადება განცხადება რომელსაც უნდა ერთვოდეს:

- ა) განმცხადებლის წესდება და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ბ) აეროდრომის „საკონტროლო წერტილის“ გეოგრაფიული პარამეტრების დამადასტურებელი საბუთი, მსოფლიო გეოდეზიური სისტემა WGS-84-ის შესაბამისად;
- გ) „აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო“
- დ) აეროდრომის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ჩიკაგოს კონვენციის მე-17 დანართის („უშიშროება. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის დაცვა უკანონო ჩარევის აქტებისაგან“) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- ე) მოძრაობაუნარდაკარგული საჰაერო ხომალდის აეროდრომის ტერიტორიიდან გატანის გეგმა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს იკაო-ს ოფიციალური გამოცემის DOC – 9137 („აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო“) მე-5 ნაწილის მოთხოვნებს;
- ვ) აეროდრომის იმ პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფასთან. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ჩიკაგოს კონვენციის, საქართველოს საჰაერო კოდექსისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნებს;
- ზ) ფრენების მეტეოროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების ასლი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან ან ამ ორგანოს მიერ აღიარებულ სათანადო სამსახურთან. აღნიშნული ორგანოს/სამსახურის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართის („საერთაშორისო აერონავიგაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა“) და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- თ) ხელშეკრულებები, აეროდრომების უსაფრთხო და მოწესრიგებული ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობენ ამ აეროდრომის ტერიტორიაზე, დამოუკიდებლად (ავიასაწვავგასაწყოში საწარმო, საავიაციო ტექნიკური ბაზა, ლექტრომომარაგების, სააეროდრომო უზრუნველყოფის სამსახურები და ა.შ.);
- ი) ხელშეკრულება, აეროდრომის რაიონში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჰაერო მოძრაობის მომსახურების უფლებამოსილ ორგანიზაციასთან. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ჩიკაგოს კონვენციის მე-11 დანართის („საჰაერო მოძრაობის მომსახურება“) და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- კ) აეროდრომის ექსპლუატანტის ორგანიზაციული სტრუქტურა, იმის გათვალისწინებით, რომ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს საჰაერო ხომალდების მიღების, მოძრაობის, გაშვების და მომსახურების უსაფრთხოებას, საავიაციო უშიშროებას, მგზავრთა, ტვირთის, ბარგის, ხელბარგის და ფოსტის მომსახურებას;
- ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ აეროდრომის საბაჟო, სასაზღვრო, სანიტარიული, საკარანტინო მომსახურების

უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბუთები, რაც ითვალისწინებს მომსახურების აღნიშნული სახეების განხორციელებას სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო და სასაზღვრო მომსახურების უზრუნველყოფა სავალდებულოა საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მომსახურე აეროპორტისათვის;

მ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან აეროდრომის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

### **მომსახურების საფასური:**

სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის განაცხადის განხილვა/სერტიფიკატის გაცემა:

ა.ა) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 1 – 1250 ლარი;

ა.ბ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 2 – 1750 ლარი;

ა.გ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 3 – 12 500 ლარი;

ა.დ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 4 – 25 000 ლარი;

ა.ე) ვერტოდრომებისთვის – 1250 ლარი;

ბ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების სერტიფიკატის გამოცვლა/ სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა:

ბ.ა) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 1 – 350 ლარი;

ბ.ბ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 2 – 450 ლარი;

ბ.გ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 3 – 3 250 ლარი;

ბ.დ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 4 – 6 500 ლარი;

ბ.ე) ვერტოდრომებისთვის – 350 ლარი;

გ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი; მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი;

დ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება:

დ.ა) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 1 – 1250 ლარი წელიწადში;

დ.ბ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 2 – 1250 ლარი წელიწადში;

დ.გ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 3 – 1250 ლარი წელიწადში;

დ.დ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 4 – 1 ლარი მომსახურებული ს.ხ-ის (მხოლოდ აფრენა/დაფრენის ოპერაცია) მაქსიმალური ასაფრენი მასის (MTOW) ყოველ ტონაზე;

დ.ე) ვერტოდრომებისთვის ს – 1250 ლარი წელიწადში;

დ.ვ) აეროდრომებზე და აეროდრომისპირა ზონებში შენობა-ნაგებობებისა და ხელოვნური დაბრკოლებების განთავსების სიმაღლეების შეთანხმება – 125 ლარი;

**საკონტაქტო ინფორმაცია: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 0158, თბილისი, აეროპორტი**

**აეროდრომებისა და აეროპორტების დეპარტამენტი**

**ტელ: (+995 32) 2 94 80 11; ფაქსი: (+995 32) 2 94 80 11 / E-mail: [office@gcaa.ge](mailto:office@gcaa.ge) ვებგვერდი:**

**[www.gcaa.ge](http://www.gcaa.ge)**